პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 13 ივნისი, 1926 წელი.

№ 52 ტარტაროზი

ეროვნული
მესამე წელიწადი

# „სიმულიანტი“




როცა ექიმი მას უცქერის, როცა იგი ექიმს უცქერის

# რამდენია ასეთი?

**განყოფილების გამგე:** (აწკრიალებს ზარს. შემოდის კურიერი). დაუძახე ზავხოზს.

**კურიერი:** ზახვოსტი აქ არ გახლავთ. ახლავე მოვა.

**გამგე:** სად წავიდა?

**მემანქანე ქალი** (კეკლუცად): მე ვთხოვე წასულიყო. თქვენი მოთხრობა მაქვს გადასაბეჭდი და მანქანისთვის ახალი ლენტი დარჩა საჭირო.

**გემგე** (წითლდება): ჰო! ეგრე თუა, კაი...

(შემოდის სამნეო ნაწილის გამგე. რაღაცას გადასცემს მემანქანეს).

**რეგისტრატორი.** (კითხულობს რაღაცას. სახე ულიმის). ჰმ! ხმ! ხხხხ! ფხხხ! ფხუუუ!

**გამგე** (წყრომით): ვინ არის, რომ ფხუტუნებს? ეს შენა ხარ ამხ. რეგისტრატორო?

**რეგისტრატორი:** დიახ... გთხოვთ მაპატიოთ... ეს უკანასკნელია...

**გამგე:** რას კითხულობდი? მოიტა აქ! (რეგისტრატორი გადასცემს თაგუნას „თამარ ცბიერს“). ჰო-ო! ამ წიგნს კარგი ხანია რაც დავეძებ. დაჯექით თქვენს ადგილზე და განაგრძეთ მუშაობა. (თითონ შეუდგება კითხვას).

**სამნეო ნაწ. გამგე:** ვგონებ მეძახოდით.

**გამგე:** დიახ! გუშინ თქვენ გიყიდიათ ათი კალმისტარი და ოცი კალამი. რატომ?

**სამნ. ნაწ. გ.:** საჭირო იყო ამხ. ბატონო!

**გამგე:** თქვენ ხომ იცით, რომ ახლა მომჭირნეობის რეჟიმია. წადით ახლავე და ათი კალამი დააბრუნეთ უკან. თითო კალმისტარს თითო კალამიც ეყოფა.

**სამნ. ნაწ. გ.:** ახლავე. (მიდის).

**გამგე:** მოიცათ. (ყურში ეუბნება), მართლა, ამხ. ზენო, შოფერს უთხარით ჩემსას წავიდეს. ჩემი მეუღლე დღეს აბანოში აპირებს... შემდეგ საფინანსო განყოფილების გამგეს უთხარით,—წარმოადგინოს გეგმა კურიერისა და დამგველისთვის ხელფასის შემცირების შესახებ. ხომ იცით ეკონომიის რეჟიმი უნდა გავატაროთ. (ზენო მიდის), ჰო, ზენოჯან, კინაღამ დამავიწყდა: შენ, მგონია, ძალიან ბევრი საქმე გაქვს. დამხმარე გჭირდება. მე მოვიყვან კაცს; ჩემი ცოლის ნაცნობი შეამცირეს ეკრეჟიმის გატარების დროს. დაუფასებელი მუშაკია. უნდა გადმოვიყვაენოთ...

**ალლარ-ალლარსანი** (რომელიც ჩუმად უყურებდა ამ ამბავს): კაი თქვენს ცხვირს მოუვა, კარგათ თქვენ ატარებთ მომჭირნეობის რეჟიმს. აფსუს, რომ ტარტაროზი ორჯერ არ გამოდის დღეში, თორემ თქვენისთანა გულმომჭირნეებს უფრო მოუჭერდა მუხრუჭს.

**ალლარ-ალლარსან.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ანეკდოტი“

არის ახალი ანეგდოტი:
ქალს ახალგაზრდას
სხვა შეუყვარდა—
ქმრის მეგობარი.
არავინ მოსწონს
ამ კაცის გარდა.
გადაუკეტა ნაცნობებს კარი
და შეიძულა
სიყვარულით შერთული ქმარი.
და ფიქრობს ქმარი:
„სულ რომ მაზე ვილაპარაკო,
ეს ლაპარაკი მის გონებას
უთუოდ დაღლის“...
დილით,
შუადღით,
შუაღამით,
მეგობარს ამკობს
და თვის მეტოქის სურათებით
მოჰფინა სახლიც.
საწოლ ოთახში,
სასტუმროში,
სასადილოში.
ყველგან ეს სახე,
ყველაფერზე სურათი მისი.
პირველ ხანებში,
უცქერს ქალი დიდი ხალისით,
შემდეგ?!
მოსწყინდა;
უნებურათ თვალსაც არიდებს,
და მის ნაჩუქარს ლამაზ პორტრეტს
ახლოს არ იდებს.
ეჩვევა თვალი იმის სახეს,
მის სახელს სმენა,—
და ერთ დღეს, როცა ეს სახელი
ქმარმა უხსენა
ასჯერ,
ორასჯერ,—
გაწყრა ლამაზი,
წამოიჭრა სახე ანთებით,
და სულ დახია,
სულ დაფლითა—
ის სურათები.
ქმარს ეუბნება:
არ გაბედოს მისი ხსენება,
მობეზრდა უკვე;
მისი ნახვა კვლავ
აღარ უნდა—
იღვიძებს მასში
ძველი განცდა,
სურვილი,
ვნება.
და ქმარს შემომწყრალს
შენანებით შემოუბრუნდა.

ეს ანეგდოტი მე გუშინ წინ
მოვსტაცე ფავნებს
გადაჭარბება თურმე საქმეს
აფუჭებს, ავნებს.

**საფო მგელაძე.**

## „კუზიანს საფლავი გაასწორებს“

„გერმანიიდან მიღებული სარეპერაციო გადასახადი, ჩვენ უნდა მოვახმაროთ გაცემულ ფრანკის კურსის განმტკიცებას“.
(ბრიანის სიტყვიდან)




**ბრიანი:** ეს ოხერი ფრანკი პატ არა ბალღსავით ადვილად ეცემა, ხოლო მისი წამოყენება ისე ძნელია, როგორც მიცვალებულის.

## „რეჟიმის ბრალია“

საქულა თავშეხვეული ჩავიდა სარდაფში, სადაც ერთი კვარტი ღვინო უნდა გადაეკრა. დარდზე იყო კაცი და ამიტომაც უნდოდა ღვინის დალევა, თორემ კრიჟანგი საქულა, და ისიც ამ მომჭირნეობის რეჟიმის დროს, და თანაც თავგატეხილი, იქ არ ჩავიდოდა.



ხქულა ჩამოჯდა.

— აბა, საქულ, აქეთ მოდი—შესძახეს მას, როცა იგი სარდაფში ჩავიდა.

საქულა ჩამოჯდა.

— ეს რა მოგსვლია, კაცო?!—ეკითხებოდენ საქულას და მის გატეხილ-შეხვეულ თავს უცქერდენ.

— ეს ეკონომიის რეჟიმია...

— რას ამბობს?! ჭკუიდან ხომ არ შეშლილა?!—გაკვირვებით შეჰყურებდენ ერთმანეთს საქულას ნაცნობები, რომლებმაც საქულა სუფრაზე მიიპატიჟეს.

— გვითხარი, კაცო, რა მოგივიდა! ვინც შენ ეს თავი გაგიტეხა მისი...—მაგრად შეუკურთხეს...

— დაიცათ, კაცნო, ნუ იგინებით... ცოტა გადავკრა და ყველაფერს ვიტყვი—და საქულამ რამოდენიმე ჭიქა ზედიზედ დასცალა.

— კაცო,—დაიწყო საქულამ,—როცა ეს ეკონომიის რეჟიმი გამოცხადდა, დავიბენი, გამიკვირდა, არ ვიცოდი თუ რა იყო იგი და ჩვენს გეურქას შევეკითხე:

— გეურქ, რა რეჟიმი არის, კაცო, რომა ცა და ქვეყანა მაგაზე ლაპარაკობს?! კაცო, იქნებ ქვეყანას ეშველა რაღა და მოვიდა ისევ ჩვენი სტარი ნიკალაივსკი რეჟიმი-მეთქი?!!

— გიჟეს,—მითხრა გეურქამ,—ეს ის რეჟიმია, რომა: ცოტა უნდა სჭამო, ეკონომია უნდა გააკეთო, ცოლის

# ვერ უშველის

პოლონეთმა მიიწვია ამერიკელი ფინანსისტი, რომელმაც უნდა შეისწავლოს პოლონეთის ეკონომიური მდგომარეობა.
(გაზეთებიდან).



**პილსუდსკი:** ისე არის საქმე—ლამის ცრემლი ვღვარო, ყოველმხრიდან დაშრა არსებობის წყარო.

**ამერიკელი:** რაღა მოგეშველო!? ვეღარ აწვდის საკვებს ეს სალარო თქვენი დამშეულსა თაგვებს.

---

სიტყვას არ უნდა აჰყვე, ყველა ხარჯები უნდა შეამოკლო რაღა!

— ეს იგი კრიჟანგობა ყოფილა ეს რაღაც რეჟიმი არის რაღა!

— მაშ, მაშ... სწორედ რომ მაგრეა.

ვაი დედასა... ეს ვერანა კომუნისტები ეხლა გვასწავლიან ჭკუას, როცა ყველაფერი წაგვართვეს, გაგვჩისტეს რაღა! ეხლა კიდევ უნდათ, რომა: ჩვენ სიმშილით კუჭი გამოვიხმოთ რაღა, ფული შავინახოთ და მაგინმა წაიღოს?!

ვაჰხ! მეხი კი ჩავაყარე მაგათ თავში...

— მაშ, მაშ... მამაძაღლები... ნეტავი ერთი ისეთი ლაზათიანათ ჩამაფარებინა თვალებში, რომა სინათლე დავუბნელო რაღა. მიიხედ-მოიხედე, რომ არავინ გვაყურადებს, თორემ თვითონ ჩვენ დაგვიბნელებენ მზეს...

— არავინ არის... ნუ გეშინია... გაბედე....

— კაცო, თუ იმას ცდილობენ რომა: ეს მუცელი დამიჩუტონ,—ვერ მივართვი.

გეურქა თავის ცოლშვილს სიმშილით მოჰკლავს და თავის ღიპს კი პატივცემას არ მოაკლებს.

— მაშ, მაშ,—ვეუბნები მე,—კაც მუცელზე უკეთესი რა აქვს?!

ჰო-და ამ ლაპარაკში რომა ვართ, მოდის სუსხიშვილის ისპალკომის ალმასკომის აგენტი და ნალოგის ქაღალდსა მაძლევს. დავხედე. მაგრამ რას დახედავ: ნალოგი მოუმატებიათ; მე კი ვფიქრობდი: რადგან რეჟიმი არის—დამიკლებენ-თქო.

ვაჰხ! შვილოჯან, ეს რა ამბავია, კაცო? ეს არის, კაცო, ეკონომიის რეჟიმი? თუ ბევრი წაიღეთ, მე რისი ეკომონია უნდა ვქნა?! ე, შე ჩემო ვირ...ბატონო, რეჟიმი, თუ არის, ყველასათვის უნდა იყოს?!

მაგრამა მან ხარსავით გაიცინა და წასვლისას მითხრა:

— დანიშნულს დროზე თუ არ მოიტანე, შტრაფს გადაიხდით.

ეხლა კი მივხდი:—რატომ გამოიგონეს ეს ეკონომიის რეჟიმი. მართლაც ეკომონია საჭირო, რომ [illegible]ლოგი უხადო მაგათ...

მაგრამ ერთის მხრივ კი გამიხარდა ეს ეკომონიის რეჟიმი და მადლობაც უნდა ვუთხრა კომუნისტებს. დედაკაცი რომ არ მასვენებდა, აწ ხომ ბოქლომს დავადებ ენაზე—ვფიქრობდი გულში.

საღამოს სახლში რომ წაველი, შავი პური და მწვანილი წავიღე.

— ე, რა არის, კაცო?!—შემეკითხა ცოლი.

— ვა, შე ვირის-თავო, განა ვერ გაიგე, რომა: ეხლა ეკომონიის რეჟიმი არის? მთავრობა ცდილობს ყველა გავმდიდრდეთ... უნდა, შევასრულოთ მათი ბრძანება, თორემ ხომ იცი რა ხალხია კონმუნისტები,—ყველას ჩეკაში ამოგვწყვეტს.



...სკამს ხელი და ისე მაგრად გამიშალა ცხვირ-პირში...

— მართლაც, შე, ვირის-თავო, განა შენ კიდევ ეკომონია გჭირდება?! შე კრიჟანგო, შენა სიმშილით გინდა ამოგვწყვიტო ცოლშვილი? ხომ ხედავ რას ვგევართ?

უი, მეხი კი ჩაგაყარე მაგ თავში...

და ამ სიტყვებთან წამოუსვა სკამს ხელი და ისე მაგრად გამიშალა ცხვირ-პირში, რომა შენი საქულა ყირაზე გადავტრიალდი რაღა....

როცა გონს მოვედი, თავი ასე მქონდა შეხვეული.

ისელი.




— თბილისში ჩემი ყოფნა საქმეს ვერ უშველის.

მე უნდა წავიდე ევროპაში. დავითანხმებ მუსოლინს, ჩემბერლენს, ბრიანს და სხვებს... ჯარს შავი-ზღვის ახლოს გავაჩერებ... გამოვალ და ჩვენებს ავაჯანყებ...

ამ ფიქრებში იყო ლევარსი, როცა ის წააწყდა საქართველოს საგანგებო კომისიის შენობის წინ გუშაგ ჯარისკაცს, რომელიც თოფით ხელში კარების წინ იდგა.

ლევარსი გონს მოვიდა და რა დაინახა „ჩეკა“, თმა ყალყზე დაუდგა, შეშინებული ღორის ჯაგარივით აიბურზგლა მისი თმა,—და თვითონ ლევარსი რწყილსავით გადახტა მეორე მხარეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა




...რა დაინახა „ჩეკა“, თმა ყალყზე დაუდგა..

სასახლესთან რომ ჩამოვიდა, უკან მოიხედა და გული გაიმაგრა, როცა ის თოფიანი ჯარისკაცი მას არ მოსდევდა.

— მე თქვენ ვერ შამაშინებთ; ჩემს საქმეზე ხელს ვერ ამაღებინებს თქვენი ხიშტები... ჯინაზე ეხლავე წავალ სადგურში და პირდაპირ პარიზში ამოვყოფ თავს.—

ლევარსი დაადგა რუსთაველის პროსპექტს და ტრამვაის ხაზებს შორის ვაგზლისაკენ გაუდგა გზას...

—:—

დიდი მზადება არის. ყველაფერი მზადაა. ჩემს ბრძანებას ილოდებიან... როცა საათი თორმეტს დარეკს, მაშინ მთელი თბილისი გამოვა...

ჯარის ნაწილები თბილისის მიდამოებს უახლოვდება.. კიდევ ორი საათი და უკვე ახლოს იქნებიან... მას უცდით, თორემ, თბილისი მზად არის.. მე თერნიკე ერისთავსავით ვარ ჯავსნოსან ტანსაცმელში გამოწყობილი. საათს უცქერი... აჰა, შესრულდება თორმეტი... ხუთი წუ-



...საათის ისარი უკან დავაქანე...

თი უკლია... ო, რამდენი გული ძგერს ეხლა აჩქარებულად... მტერმა კი არაფერი იცის... ერთი საათის შემდეგ



დიდხანს გაგრძელდა ჩვენს შორის მასლაათი....

მე ვიქნები ქვეყნის პატრონი... აჰა, ორი წუთი უკლია...

ამ დროს მოვიდა ცნობა ჯარის ნაწილებიდან, რომ იგვიანებენ ნახევარი საათით... მე გავბრაზდი, დახრეტით დავემუქრე გენერლებს, მაგრამ ეს არ შველის სექმეს... საათი უნდა უკან დავაქანო, თორემ დამარცხდა აჯანყება... ვინ არის ვარგებული, მაგრამ სხვისი იმედი არ მაქვს.. თვითონ მე წაველი.. ავიპარე ალმასკომის თავზე და საათის ისარი უკან დავაქანე... გადავრჩით... გავიმარჯვეთ. უდროვო დროს არ გამოვლენ.

—:—

— გადატრიალება მოვახდინე... თბილისში ზეიმით შემოვედი. ხალხი აღფრთოვანებულია. ქალები ყვავილებს მიგებენ... და იძახიან: „ლევარსის გაუმარჯოს“. „დიდება სამშობლოს დამხსნელს“...

ვილაცამ დაიძახა ხალხიდან:—„დღეგრძელობა და სიცოცხლე ჩვენს მეფეს ლევარსი როხროხაძეს“.

— მეფე... მეფე... ჩვენ მეფე გვინდა... ლევარსი



...დაუწყო გამოლვიძება მილიციელმა.

როხროხაძეა ჩვენი მეფე—იძახის ხალხი...

მე ვუარობ, მაგრამ უარი არ გამდის...

რა ვქნა არ ვიცი... მე ხომ უბრალო გლეხის შვილი ვარ... მაგრამ მერე რა ვუყოთ... განა სპარსეთის ახლან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელი მეფე რიზა-ხანი, პენხლევე ჩემსავით არ იყო? რატომ არ ვარ ღირსი. განა „გონჯი“ სახელი და გვარი მაქვს? ლევარსი როხროხაძე... ეს უფრო მედგარია ვიდრე რიზა-ხანი პენხლევე... ჩვენში ხომ პოეტები, თუ კი მათ გვარს და სახელს ასო „რ“ ურევია, ამაყობენ... ერთის მაგივრად მრავალს სწერენ... მე კი ბევრი „რ“ მაქვს ლევარრრრრსი რრრრროხრრრრროხაძე... გენაცვალე, ჩემო სახელო და გვარო, ისე გრიალებ, თითქოს ზეცაში ქუხდეს და ჭექდეს.

ყოველი შემთხვევაში, მე რიზა-ხან პენხლევეს ვინახულებ...

— გამარჯობათ... ჩვენი ქვეყნები მეზობლებია და ჩვენს შორის უნდა არსებობდეს მეგობრული კავშირი. ბედისწერამ მეც შენსავით მარგუნა ბედი.

მე ვარ საქართველოს მეფე—

გავაცანი თავი რიზა-ხანს.

დიდხანს გაგრძელდა ჩვენს შორის მეგობრული მასლაათი...

—:—

— ეი, შენ, მამიშენის სახლი ხომ არ გგონია, რომ გაშხლართულხარ აქ?—დაუწყო გამოღვიძება ლევარსის სადგურში მილიციელმა.

ახლად ჩაძინებული ლევარსის, გამოეღვიძა. როცა მილიციელს შეხედა, მას იგი „ჩეკის“ გუშაგად მოეჩვენა, დაავლო ხელი თავის ჩემოდანს და გარედ გავარდა.

მატარებელი უკვე მიიმალა.

— აწი ველარ დავეწევი... დღეს დავრჩი—გაიფიქრა ლევარსიმ და იქვე ჩამოჯდა.

ზმუკი.




— აწი ვეღარ დავეწევი... დღეს დავრჩი:—

# „ჰაერზე წაყვანა“

## ბათუმიდან ბერძნის-წყარომდი

ბათომიდან სოფელში წავიყვანე ცოლშვილი... საჯევახომდი, „მეცნიერება და ტეხნიკით“ ვიმგზავრე. შემდეგ კი სოფელში წასასვლელად ეტლი იყო საჭირო, მაგრამ ასეთი იქ არ აღმოჩნდა. ურმით მგზავრობაზედაც დავითანხმე ცოლშვილი, მაგრამ არც ურემი აღმოჩნდა. ერთს სურებელს ბალი ჩამოეტანა გასასყიდათ და სახლში ბრუნდებოდა. დავსდევით ხელშეკრულება მე და ცხენის პატრონმა, შევთანხმდით ხუთ მანეთზე. მეც მოვათავსე ცოლშვილი ცხენზე: ერთს ყუთში ცოლი ჩავსვი და მეორეში—შვილი, მე კი—ზემოდ კეხზე დავჯექი, ერთი ფეხი შვილის ყუთში ჩავსდგი **(ამის გამო შვილმა ტირილით, პროტესტი გამიცხადა, მაგრამ ორი შაურის ქრთამის მიცემის შემდეგ, კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარებულ იქნა).**

მეორე ფეხი—ცოლის ყუთში. წონასწორობის დასაცავად შვილისაკენ ვიყავი გადახრილი.

გავემგზავრეთ.

ბავშს უხაროდა და ყუთიდან ათვალიერებდა მიდამოს. ჩემი ცოლი კრუხსავით იჯდა, თითქოს კვერცხებს ათბობს გამოსაჩეკადო. მე კი, როგორც ინდოელი აქლემზე, ან და უფრო სწორი შედარება იქნება: როგორც დედა-ენაში ალექსი და აქლემი, ვიჯექი კეხზე და „იერუსალიმში“ მივდიოდი.

მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობით ბრძანდებით!—დაიძახა ჩვენს დანახვაზე შარაზე მომავალმა ჩვენმა ნაცნობმა სოფლის დედაკცმა, სწრაფად მოვარდა, ცხენი გააჩერდა, ჯერ ბავში გადაკოცნა, შემდეგ ცოლი და ბოლოს ჩემსკენ წამოსწია მისი „მშვენიერი“ ტუჩები საკოცნელად. ძალიან უხერხული იყო კოცნა, მაგრამ რა უნდა მექნა; მეც წამოვიხარე და ის იყო მაკოცა, რომ წონასწორობა დაირღვა და კეხი გადაბრუნდა; ცოლი და შვილი ყუთებიდან გადმოვარდენ და მეც „დავზომე“ მიწა.

ამ კატასტროფის შემდეგ, ცოლშვილმა პროტესტი გამიცხადა და ეტლი კატეგორიულად მომთხოვა

—:—



„მე კი—ზემოდ კეხზე დავჯექი...

ვის არ მივმართე საშველად, მაგრამ ამაოდ. ბოლოს აღმასკომს მივადექი, მაგრამ იქ არავინ დამხვდა; შაბათი დღე იყო და **„რადგან დღე იგი მეშვიდე—შაბათი არს უფლისა შენისა, არა ქნა რა“**. თემის სამმართველო გამოხვეული იყო.

ასე იყო თუ ისე იყო, ცოლშვილი მაინც მივიყვანე ბერძნის-წყაროს და იქ დავტოვე. მეორე დღეს მე ისევ ბათომისაკენ წამოვედი. ეხლა ბათომში ვარ. იცოდეთ ყველამ, რომ ჩემი ცოლშვილის მომკითხავი არ ვარ... თუ ვინმე პატივს მცემს და ზაფხულის შემდეგ ჩამომიყვანთ ბათომში, თანახმა ვარ მივიღო და ვარჩინო, თუ არა,—და მაშინ ბრალი ჩემზე არ იყოს, რომ მე ცოლშვილი არ მოვიკითხო და სამუდამოთ იქ ჩავტოვე.

პასუხისმგებლობა მოხსნილია ჩემზე.

პ. ობოლი.




## დ. ს უ ფ ს ა

გოგიას ჰყავდა ცოლი—
პატიოსანი ქალი;
ქალს შვილი არ ეყოლა
და იყო მით საწყალი.
გოგიას უთხრეს ასე:
„ეს არის ქალის ბრალი.
გააგდე, უვარგისი
და სხვა შეირთე ქალი".
ცილი დასწამეს ქალსა,
თითქოს მას სხვა უყვარდეს,
ქმარს ღალატებდეს იგი
და ოჯახს არ უარდეს.
გოგიას აქეზებენ:
იასონ და გერმანე.
ლადიკო ჩასჩიჩინებს:
სხვა ქალი მოიყვანე.
ქალის გაშვების სენი:
მოედვა არე-მარეს;
შვილმა გაუშვა ცოლი
(ცრემლებსა ღვრიდენ მწარეს).
ორი წელია რაც, რომ
ვატარებ მე ამ წაღებს....
სხვები ადვილად სცვლიან
ცოლებს კარგებს და საღებს.

სიკო.

## ს ა ჯ ა ვ ა ხ ო

გლახუნამ უთხრა გოგიას:
რა დრო დაგვიდგა ესაო;
არ მახსოვს გუშინ რა ვიყავ,
არ ვიცი რა ვარ დღესაო.
დღეს ყველა ჩვენზე ამხედრდა,
იწყეს დანებისა ლესვაო;
საბჭოდან გამოგვაბრძანეს,
მიწკომში წიხლი გვკრესაო.
პროტესტს ვუცხადებ მე ასეთს
საბჭოთა არჩევნებსაო.
ამ თემის მიწა გავყავი,
მივეცი ღარიბებსაო.
გოგიამ უთხრა გლახუნას:
არ ამბობ სიმართლესაო.
რაც გაგდიოდა შენ უწინ,
ის არ გაგივა დღესაო.
ნუ მათქმევინებ ყველაფერს,
საგმირო საქმეს შენსაო.
მისთვის ეწერა კანონი
ვინც მოგვიტანდა ძღვენსაო.

ოხტომესპირელი.

—:—

## „შრომის სკოლა"
(ლაგოდეხი)



სკოლის გამგემ მიითვისა
გაკვეთილი ყველა
ტარტაროზო, შენგან უნდა
ამ საქმეს შველა.
ამბობს:—გაკვეთილებს
ხელი არვინ აჰხლოს,
სხვის მუცელზე უფრო
ჩემი არის ახლოს.

ტიტე.

## „მუნჯი ტელეფონი"
(ხევი)

ხუნდაძეა აგენტი ტელეფონის ქსელისა.
სამსახურში არ მოდის,—ხალხი დიდხანს ელისა.
თუ ოდესმე მოვიდა, და ელირსე ტელეფონს,—
ნუ გგონია გახვიდე არხეინად ლელე-ფონს!
ჩასძახი და შენი ხმა ესმის ჭერს და კედლებსა.
და გარეთ კი—ქანდარზე მჯდარს მამლებს და დედლებსა.
ალბად, თვითონ ხუნდაძე მილში „გაკვეხებულა",
ამიტომაც აქ საქმე ჯერ ვერ გაკეთებულა.



## „ლოთი ღორი"
### ნაგომარი

ერთს მიკიტანს ჰყავდა ღორი,
ნაფერებით გამოზრდილი.
როგორც პირუტყვს პატივს სცემდა,
მიკიტანი გამოცდილი.
პურ-ღვინოზე შეაჩვია:
ჩაუფშვნიდა პურს-ღვინოში,
რომ ღორს მეტი შეეჭამა,
ჰქონებოდა მადა, ხოში.
ერთხელ ასეთს გამოზრდილ ღორს
ერთი ვედრო მან თხლე-ღვინო.
წინ დაუდგა დასალევათ,
უთხრა: „ნება გაქვს ილხინო"..
ღრუტუნიამ ვედრო სწრაფად
თქარა-თქურით გამოსცალა...
მაგრამ იგრძნო, რომ იქიდან
აღარ ჰქონდა წასვლის ძალა.
აუვარდა თავში სიცხე,—
დაგრილება მოესურვა
და ხტებოდა ის სუფსაში,
არ იცოდა. თუმცა ცურვა...
როგორც იქნა,—დაიჭირეს,
მიაბრუნეს-მოაბრუნეს.
გადაარეს დოქით წყალი,
მოარჩინეს და გაჰკურნეს.
როცა თავი მოაბეზრა;
ღორმა პატრონს ხშირი თრობით,—
ის გაჰყიდა... და პატრონმა,
გააცილა გზაზე ტრფობით.
მაგრამ ღორი არ ივიწყებს
ძველ პატრონს და ღვინოს,—
ესტუმრები დაუღლული,
რომ პატრონი მოალხინოს.
კვეხნით ამბობსი მიკიტანი:
გამოვზარდე მე ესაო... „უტუ".

—:—

„ხარი ხართან, რომ დააბა
ან ფერს იცვლის ან ზნესაო".

ტარტაროზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩიბათი

ტარტაროზ, ჩემო იმედო,
თუ კი განგებამ მაცალა, —
ჩიბათში არ დამელევა
შენთვის ახალი მასალა.
ჩვენშიც აშენდა შვიდწლედი
მეცნიერების ტაძარი.
სწავლის სურვილმა შეგვიპყრო
ვით დაუქრობი ხანძარი.
მასწავლებლებიც დანიშნეს:
სიმონ, ელისე, მარია,
მეტია ჩადრით მავალი,
მზე-მთვარის შესადარია.
მათ დაუმატეს მეხუთე,
ზენაიშვილი მარია.
ვფიქრობდით:—ბიჭო, აშენდა
ჩვენი სახლი და კარია.—
ხალხს გზა გაეხსნა სწავლისა,
მოდის კულტურა წმინდაო.
ნასწავლი ხალხი გავხდებით,
ან კი მეტი რა გვინდაო.
მაგრამ სწავლისა მაგივრად:
არშიყ-ქეიფი დაიწყეს,
ყველა „პაროჩკად“ გაიყვენ,
და თვისი საქმე გაიწყვეს.
სიმონს და მაროს სიმღერამ
გამოაღვიძა ყველანი;
რადარა ლექსებს ამბობენ
ვერ დასწერს ფუთი მელანი.

**პატარა სოფელს ჭალას
ვსთქვით—ყველამ დავეხმაროთ,
სალ-გამგეთ ავირჩიეთ:
ზენაიშვილი მარო,—
მაგრამ აქ საქმე მაროს
შეექნა მეტად რთული:
შემოეჭამა ჩუმად,
იმ სალამოს ფული.
მაგრამ ამისთვის მაროს:
გააძრო ხალხმა სიქა...
და დახარჯული ფული
დაადებინა იქა. წითელი მასკა.**

აქ არსებობდა გლეხკომი,
ვარგოდა სმა და ჭამაში,—
მაგრამ ის გარდაიცვალა...
(ეჭვიც არ შეგვდის ამაში).
გლეხკომის ფულით სანაძე
მღეროდა „ჩარი-რამასა“.
ეს ყველამ იცის ჩიბათში,
ფიცი არ უნდა ამასა.
„რეჩი“ წარმოსთქვა მელქისემ
ხალხისა ასატირია.
პეტრე ამბობდა თვის გულში:—
„მოგვშორდა ერთი ჭირია“.
ვხედავდი ჩვენი გლეხკომი.
საფლავში, რომ ჩადიოდა...
ამის შემყურეს ვანოსა,
თვალებზე ცრემლი სდიოდა. მიშა





## „პანორამა“

როცა ქუჩაში საზეიმო თუ სამგლოვიარო პროცესია მიდის, დაწესებულებებში მუშაობა წყდება და თანამშრომლები ფანჯრებიდან იცქირებიან ქუჩებში.

ფაქტიდან.

### გაისმა მარში...

შენ მოვალე ხარ,
ეს სულერთია;
საზეიმო თუ

სამგლოვიარო.
სადაც არ იყო,—
ქირი, თუ ლხენა
გაიზიარო.

### დატოვე საქმე...

სად წავა იგი...
ეს კი მიდის და
და აწ აღარ მოვა...

თვალს სიამოვნობს
სანახაობა,
თუ გინდაც იყო
ის სევდა, გლოვა.

ჰო-და დატოვე
საქმე უსაქმოდ,
(ნუ გეშინია,
მედგრად გაბედე).

ჯერ წააყურე...
შემდეგ თამამად
შენ ფანჯრიდან
გადმოიხედე.

ვერც კი მოასწრებ
უკან მოხედვას,—
რომ გვერდში სხვები
ამოგიდგება,—

და მთელი შტატი
(გამგის ჩათვლითა)
ყველა სართულზე
სარკმელთან დგება.

შიკრიკიც მოდის,
დამლაგებელიც...
არის მოწოლა
და მოზღვავება...

არის სიცილი
და სიხარული,—
(თუნდაც ხდებოდეს
დასაფლავება).

შეწყდა მუსიკა,—
ეწყინა ყველას...
მაგრამ გაისმა
ხელახლა მარში.

ფრთები შეისხა
ლაღმა ოცნებამ
და ეჩვენებათ
თავი სიზმარში...

არ უჩანს თავი...
არ უჩანს ბოლო...
ეს პროცესია
აღარ თავდება,

უკვე ჩამოჰკრა
საათმა სამჯერ...
სამუშაო დღე
ასე თავდება.

ჭინჭარი.

# ოპერაცია ანუ როგორ ასწორებს ტარტაროზი გამოგზავნილ მასალებს



თასალა, რომელსაც უვარგა დასაწყისი (თავი) და ბოლო (ფეხები); შუა-ალაგი კი უვარგისია და იგი ამოიჭრება. ოპერაციის შემდეგ ვღებულობთ ასეთ სურათს.



მასალა, რომელსაც უვარგა მარტო დასაწყისი (თავი); სხვა კი უვარგისია. ოპერაციის შემდეგ ვღებულობთ ასეთ სურათს.



მასალა, რომელსაც უვარგა, დასაწყისი (თავი) და შუა-ადგილი. ოპერაციის შემდეგ ვღებულობთ ასეთ სურათს.



მასალა, რომელსაც ყველაფერი უვარგა, გარდა დასაწყისისა (თავისა). ოპერაციის შემდეგ ვღებულობთ ასეთ სურათს.



მასალა, რომელსაც უვარგა მხოლოდ შუა-ადგილი. ოპერაციის შემდეგ ვღებულობთ ასეთ სურათს.



მასალა, რომელსაც არაფერი არ უვარგა (ეს შემთხვევა ყველაზე მეტია). ოპერაციის შემდეგ იგი სავსებით იგზავნება საფლავში (უფსკერო გოდორში).




**მეხს** (ერკეთი). უსაყვედურებთ ადგილობრივ ინტელიგენციას, რომელმაც დაიწყო, მაგრამ ვერ დაასრულა წარმოდგენის დადგმა.

გადის თვეები, აღარ სჩანს
წარმოდგენა ქებული.
ერკეთის საზოგადოება
არის ისევ პირდაღებული

აჩირებული საზოგადოება ყოფილა ერკეთში; ნუ თუ ერთი თვის ამაო ლოდინის შემდეგ, ვერ მიხვდა, რომ წარმოდგენა არ გაიმართება და პირი ვერ **„დამუწა“?!** აჩია მაზე, იყოს პირდაღებული და უცადოს „გამოდარებას ზღვის პირად“.

**ტბისპირელს** (ოზურგეთი). თუ კი საავადმყოფოს მზარეული გიტარას უკრავს და საჭმელს არ ამზადებს ავადმყოფებისათვის, ეს მას არ ჩაეთვლება დანაშაულებად; ავადმყოფებს ჭამის მადა არ უნდა გქონდეს და, თუ აქვს, ის კარგადმყოფი (სიმულიანტი) ყოფილა და საჩქაროდ გასწერეთ. გარდა ამისა, მუსიკა მეცნიერების გამოკვლევით ყველა წამალზე უფრო უხდება ავადმყოფს (მით უფრო სულით ავადმყოფებს). მადლობა მზარეულს, რომ მუსიკით მკურნალობა შემოუღია, როგორც ეს ევროპის მრავალ ქალაქებშია.

**ჩამომრებს** (ერკეთი). პური საჭმელია.

**„არტოგს“** (გორი). თუ სოვდაგარი კაიკო.

აჩლა ჩეკას ჩაუვარდა
თავის ორთავ ფეხითაო;
დაილუპა, დაიღაგა
მუშკორისა მეხითაო

მეტი რაღა გინდა? მოუნახავს თავისი ადგილი, სადაც მას ასწავლიან ჭკუას... მაგრამ როგორც:

..........ჩეკას ჩაუვარდა
თავის ორთავ ფეხითაო,—

ისევე ჩავარდა თქვენი წერილი ჩვენს გოდორში.

ნუ გასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო.

**ა. ტიტანს** (ჩიბათი). მართალია.

„ჩიბათისთვის მეტად საჭიროა ტარტაროზის ჩანგალი“,—

მაგრამ თქვენი წერილისათვის საჭიროა გოდორი. და კიდეც გვაქვს აქვე გვერდით.

**მან-კან-ბან-ძელს** (ბანძა) რაღა „**მომჭირნეობა**“ იქნება, თუ კი თქვენი შარადის გამოსაცნობათ მდინარე ნევის სანახავად წავედით ლენინგრადში!? არ ასეთი მომჭირნეობა ვარგა და არც თქვენი შარადა.

**„უშნო იუმორისტს“** (ხეთა). აი, ერთად-ერთი პატიოსანი კაცი თქვენ ხართ, რომელმაც სწორად შეაფასეთ საკუთარი ნიჭი და უწოდეთ თავისთავს შესაფერი სახელი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალ. კომიტ. სტამბა, კამოს ქ., 68.